პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სადოქტორო პროგრამზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის კვალიფიკაციას ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს **(სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ფართო სფეროს: 01 განათლება; 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები; 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია; 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი)** და სტუ-ში არსებული წესის შესაბამისად აკმაყოფილებს დოქტორანტურაში ჩარიცხვის მოთხოვნებს.

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

1. კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება;
2. ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი ან წარმატებით დაძლიოს ინგლისური ენის B2 დონის ტესტური გამოცდა, რომელსაც აორგანიზებს და ახორციელებს სტუ. კანდიდატს, რომელსაც გავლილი აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხურის ინგლისურენოვანი აღიარებული საგანმანათლებლო პროგრამა, გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვება (ინგლისურენოვანი პროგრამის გავლა დასტურდება შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტით - დიპლომით);
3. შესაბამის სფეროში წინარე ნაშრომი/პუბლიკაცია ან/და სამეცნიერო-კვლევით პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის ან/და შესაბამის სფეროში მუშაობის არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი.
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების საფუძველზე, უნივერსიტეტის მიერ წინასწარ განსაზღვრული სხვა დოკუმენტაცია/ინფორმაცია.

კანდიდატი, რომელიც წარმოდგენილი დოკუმენტაციით სრულად აკმაყოფილებს ფორმალურ მოთხოვნებს, გასაუბრებას გადის საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. საფაკულტეტო დროებითი კომისია სტუ-ის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პროგრამაზე დაშვების მსურველ პირთა შეფასებას ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. მხედველობაში მიიღება კანდიდატის გამოცდილებისა და შესაძლებლობების შეფასება, რაც სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისათვის არის საჭირო, მათ შორის (არსებობის შემთხვევაში) კანდიდატის სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გამოცდილება, სასწავლო/კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები და მასალები (სერტიფიკატები, სიგელები, პატენტები და ა.შ.).

სრული ინფორმაცია დოქტორანტურაში მიღების წესის და ჩარიცხვის პირობების თაობაზე, აგრეთვე ინგლისური ენის საგამოცდო ტესტების ნიმუშ(ებ)ი განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. https://gtu.ge/apply/phd.php/

პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, საქართველოს კანონმდებლობითა და სტუ-ის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პირობების და წესების დაცვით.

უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზანია:

თეოლოგიის - ეკლესიის ისტორიის დარგში პროფესიონალი აკადემიური კადრის - დოქტორის მომზადება, რომელიც დამოუკიდებლად აწარმოებს ორიგინალურ, თეორიული თუ პრაქტიკული ღირებულებების მქონე სამეცნიერო კვლევებს, მოახდენს თეოლოგიური მიმართულებების და საქართველოს ეკლესიის ისტორიის საკითხების კორელაციას, შესაბამისი ისტორიული მოვლენების თეოლოგიურ ინტერპრეტაციას და გარკვეული რელიგიური პროცესების ისტორიული გარემოებების დადგენას და განმარტებას; უზრუნველყოფს შესრულებული კვლევების ინტერნაციონალიზაციას და მის ინტერდისციპლინურ ხასიათს, ინკლუზიური თანამშრომლობისა და დიალოგის ხელშეწყობას, თეოლოგიური, ისტორიული, სოციოკულტურული და ლინგვისტური პერსპექტივების ინტეგრირებას.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. **განსაზღვრავს** საკვლევ სამეცნიერო პრობლემას და მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს.
2. **აანალიზებს** კვლევის ობიექტთან დაკავშირებულ მულტიდისციპლინურ ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის სფეროში, თეორიული და ემპირიული მასალის ურთიერთშეჯერებას და მის საფუძველზე რელიგიაში მიმდინარე პროცესებს.
3. **იყენებს** თეოლოგიის კვლევის სფეროში ახალ ანალიტიკურ მეთოდებს და მიდგომებს მეცნიერულ საქმიანობაში; თეოლოგიური ტექსტების სტრუქტურისა და ტიპოლოგიის უახლეს მიღწევებზე დაფუძნებულ ცოდნას.
4. **შეუძლია** კვლევის შედეგების მოპოვება და საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში ასახვა; სამეცნიერო ნაშრომის შედეგების და წინააღმდეგობრივი პროფესიული თვალსაზრისებისა და მიდგომების კრიტიკული შეფასების საფუძველზე ახალი ადეკვატური მეთოდოლოგიის შემუშავება; სამეცნიერო იდეის, თეოლოგიური და ისტორიული კვლევის სტრატეგიის, თეოლოგიის კვლევის ობიექტის თუ ეკლესიის ისტორიის დარგის სადისკუსიო პრობლემების გადაჭრა და თეოლოგიის და ეკლესიის ისტორიის დარგში საკვლევი პრობლემის ადეკვატურ, ინოვაციურ მეთოდოლოგიაზე დამყარებული დასკვნითი სამეცნიერო დებულებების მიღება.

5. **წარმოაჩენს** საქართველოს ეკლესიის ისტორიის დარგში მიღებულ ცოდნას მეცნიერულ-არგუმენტირებულად და გარკვევით; თეოლოგიის დარგში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე ახალ სამეცნიერო იდეებს, ტენდენციების განვითარებისათვის ახალი ცოდნის დაგროვების საჭიროებას, შესაბამისი ისტორიული მოვლენების თეოლოგიური ინტერპრეტაციის და რელიგიური პროცესების ისტორიული გარემოებების დადგენის და განმარტების საჭიროებას;
6. **აღიარებს** რელიგიური მსოფლმხედველობის დაცვის სფეროში პროფესიულ ღირებულებებს და მათ პოპულარიზაციას; თეოლოგიური მეცნიერების ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიებას და საამისოდ ინოვაციურ მეთოდებს, ინკლუზიური და ტოლერანტული ფასეულობების აუცილებლობას ისტორიული და თეოლოგიური კონტექსტის მქონე საქმიანობებში;
7. სწავლებას **წარმართავს** დამოუკიდებლად სწავლა-სწავლების უახლესი მეთოდებისა და სტრატეგიებით, ინოვაციური ცოდნის გადაცემითა და მის განმტკიცებაზე ორიენტირებული დავალებებით, პრობლემებისა და საკითხების ანალიზის პროცესში სტუდენტის ჩართულობა/მონაწილეობის უზრუნველყოფით, მათი შეფასების რელევანტური მეთოდებითა და კრიტერიუმებით;
8. მეცნიერულად **გაიაზრებს** ეკლესიის ისტორიის წყაროებს და წმინდა მამათა მსოფლმხედველობას, არსებულ მეცნიერულ მტკიცებებზე დაყრდნობით აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნებს;
9. **ახდენს** ასომთავრულითა და ნუსხა-ხუცურით სათანადო ტექსტის და უძველესი ქართული ხელნაწერების სწორად წაკითხვას; ძველი ქართული ენის საკითხებზე მოიძიებს შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურას და წყაროებს ამოწმებს და ციტირებს სწორად.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა
შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.
სასწავლო კომპონენტის შეფასება:

დადებითი შეფასებებია:

- **(A)** - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/კომპონენტების შეფასება:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;
ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;
ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის ეტაპზე, დასკვნითი შეფასებით.

სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	**სასწავლო კურსი**	**კრედიტი**
1	სწავლების მეთოდები	**6**
2	სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა	**4**
3	საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის თეოლოგიური მეთოდები	**5**
4	თემატური სემინარი	**15**
5	პროფესორის ასისტენტობა	**10**
6	ძველი ქართული ენა	**5**
7	**არჩევითი სასწავლო კურსები**	**10**
7.1	საეკლესიო ისტორიოგრაფია და საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები და პერიოდიზაცია	**5**
7.2	შედარებითი ღვთისმეტყველება	
7.3	საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური საკითხები	
7.4	საქართველოს ეკლესიის სამართლის ძეგლების ანალიზი	
	კვლევითი კომპონენტი	-